სტუმრის წარდგენის, მიმართვისა და სამადლობელი ფორმულების ზოგადი თავისებურებები ამერიკულ და ქართულ გასართობ თოქშოუებში

ნანა იობიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail:nana.iobishvili@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება სტუმრის წარდგენის, მიმართვისა და სამადლობელი ფორმულების ზოგად თავისებურებებს ამერიკულ და ქართულ გასართობ თოქშოუებში. კვლევა ეყრდნობა შეპირისპირებით-აღწერით მეთოდს. აღნიშნული თემა, საკმაოდ აქტუალურია, რადგანადაც დღევანდელ სატელევიზიო სივრცეში თოქშოუებს, კერძოდ კი, გასართობ თოქშოუებს ბევრი მაყურებელი ჰყავს. ამდენად, თანამედროვე მედიადისკურსში სატელევიზიო საუბრებს, თოქშოუს დიდი ადგილი უჭირავს. იგი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს. რეციპიენტს მიეწოდება ამა თუ იმ კულტურაში მისაღები, მისაბაძი და სავარაუდო აზროვნების სქემები. გადაცემის ეს ფორმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტელეეკრანებთან უამრავ ადამიანს იზიდავს, ამიტომ საქართველოშიც ტელევიზიის მესვეურები სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ ამ ჟანრისადმი.

ზეპირი კომუნიკაცია, დიალოგი, ინტერვიუ, მიმდინარეობს კონკრეტულ სიტუაციაში. ბუნებრივი საუბრები სულაც არ არის უინტერესო, პირიქით სწორედ ყოველდღიურ დიალოგში მჟღავნდება პირველად ენის განვითარების ტენდენციები, მისი დინამიკური და ექსპრესიული ბუნება, ყოფითი მხატვრულობა, სოციალურ-გეოგრაფიული ნაირფეროვნება. საუბარი, დიალოგური მეტყველება არის ,,ენა მოქმედებაში", ,,ცოცხალ სიტუაციებში", თავისი განუმეორებლობითა და ინდივიდუალიზმით [ზექალაშვილი 2012:13].

თოქშოუ ამერიკული და ევროპული სატელევიზიო სივრცის განუყოფელი მახასიათებელია. რა თქმა უნდა არც ქართული სატელევიზიო სივრცეა გამონაკლისი ამ კუთხით და ქართველი ტელემაყურებელიც განებივრებულია სხვადასხვა ტიპის

თოქშოუებით. გასართობ თოქშოუებში ვხვდებით ბუნებრივ საუბრებს, ზოგიერთში არის თამაშები და სხვადასხვა აქტივობები, საუბრის სტილი უფრო ჰგავს ინტერვიუს. მასპინძელმა მოწვეულ სტუმარს უნდა დაუსვას კითხვები და გააგრძელოს საუბარი. გასართობი თოქშოუები ძირითადად ღამის ეთერში გადის, რადგან ისინი უმეტესად გათვლილია განტვირთვისათვის. ასე რომ, ისინი ადვილად ემატება ჩვენს რუტინას. აქ ჩვენ შეგვიძლია მოვუსმინოთ უამრავი განსხვავებული ადამიანის საუბარს. მათი საუბრის მანერა ყოველთვის განსხვავებულია.

ამერიკული და ქართული გასართობი თოქშოუების ანალიზის საფუძველზე გვსურს, დავადგინოთ, თუ რა ზოგადი სახის თავისებურებები იკვეთება სტუმრის წარდგენის, მიმართვისა და სამადლობელი ფორმულების კუთხით ამერიკულ და ქართულ გასართობ თოქშოუებში.

საკვანძო სიტყვები: *გასართობი თოქშოუს გახსნა; მიმართვა გასართობ თოქშოუში; სამადლობელი ფორმულები ამერიკულ და ქართულ თოქშოუში.*

თოქშოუ გახდა ამერიკული და ევროპული სატელევიზიო სივრცის განუყოფელი მახასიათებელი. რა თქმა უნდა არც ქართული სატელევიზიო სივრცეა გამონაკლისი ამ კუთხით და ქართველი ტელემაყურებელიც განებივრებულია სხვადასხვა ტიპის თოქშოუებით. თოქშოუ არის გადაცემა, რომელსაც ჰყავს წამყვანი ან წამყვანები (გადაცემის წამყვანი ან მასპინძელი ადამიანი), რომლებსაც თითოეულ ეპიზოდზე სტუმრად ჰყავს სხვადასხვა ცნობილი პიროვნება და მათგან იღებს ინტერვიუს ან ამყარებს კომუნიკაციას. ისინი საუბრობენ არსებულ პროექტებზე ან მომავალ გეგმებზე, თამაშობენ თამაშებს და აქვთ მოკლე კომედიური სეგმენტებიც. ადამიანები უმეტესად უყურებენ თოქშოუებს, სადაც აქცენტი პერსონაჟების ყოველდღიურ ცხოვრებაზეა. ეს თოქშოუები სახალისოა და უმეტესად დადგმული.

გასართობ თოქშოუებში ვხვდებით ბუნებრივ საუბრებს, ზოგიერთ თოქშოუში არის თამაშები და სხვადასხვა აქტივობები, საუბრის სტილი უფრო ჰგავს ინტერვიუს. მასპინძელმა მოწვეულ სტუმარს უნდა დაუსვას კითხვები და გააგრძელოს საუბარი. რეგულარულად ახალი ეპიზოდებით თოქშოუები გადის ეთერში ყოველ კვირეულად ან ყოველდღიურად, დღის სხვადასხვა მონაკვეთში. გასართობი თოქშოუები ძირითადად ღამის ეთერში გადის, რადგან ისინი უმეტესად გათვლილია განტვირთვისათვის. აქ ჩვენ შეგვიძლია მოვუსმინოთ

უამრავი განსხვავებული ადამიანის საუბარს და მათი საუბრის მანერა ყოველთვის განსხვავებულია.

გასართობი თოქშოუს ინტერვიუს გახსნა (დასაწყისი) სტუდიის აუდიტორიისკენ მხოლოდ პირველ კომპონენტშია მიმართული. ჟანრის გასართობი მიზნებიდან გამომდინარე, მიმართვა აუდიტორიის მისამართით შეიცვლება პირდაპირი სტუმრის მისამართით, როგორც კი დაიწყება წამყვანსა და სტუმარს შორის ინტერაქცია, ჩათი.

გასართობი თოქშოუს ინტერვიუს თემები ასევე წინასწარაა განსაზღვრული, მაგრამ წინასწარ განსაზღვრა არ ჩანს ღონისძიების გახსნის სტრუქტურაში, როგორც პოლიტიკურ ინტერვიუებში ან დებატებში. თოქშოუს ინტერვიუს გახსნა არ აცხადებს მთავარ თემას გახსნის განყოფილებაში, თუმცა გარკვეულწილად ის შეფარულია სტუმრის წარდგენისაას. ეს მახასიათებელი შეესაბამება სპონტანურ საუბარს, სადაც შეიძლება წამოიჭრას ნებისმიერი თემა. პოლიტიკური ინტერვიუებისა და დებატებისაგან განსხავვებით, ის ასახავს შეხვედრის მნიშვნელოვან მსმენელზე ორიენტირებულ ან ინტერაქციულ ხასიათს.

თოქშოუს ინტერვიუებში სტუმარი აშკარად წარდგენილია ძირითადად აღწერილობით. იდენტიფიკაციის პროცესი მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივი პირისპირ საუბრებისგან. ის არც მონაწილეებს შორის ხდება და არც ვიზუალური ნიშნითაა წარმოებული. სტუმარი იდენტიფიცირებულია წამყვანის, ანუ მასპინძლის მიერ [შეგლოფი 1979:25]. იმის გამო, რომ წამყვანი, ანუ მასპინძელი, იცნობს სტუმარს, და ეს უკანასკნელი დამოკიდებულია კომუნიკაციური მოვლენის მიზანზე. თოქშოუს ინტერვიუებში სტუმრის წარდგენის ფორმულირება, როგორც გამოცანა არის ღონისძიების მნიშვნელოვანი გასართობი მიზნის გამოვლინება. მაგალითად: **Host:** ‘’Our first guest is one of the most talented men in the world. He is a multi-award-winning regording artsist, fashion designer and shoe salesman. His new album is called ‘’YE’’. Please welcome Kanye West’’ [Cheers and applause] [Jimmy Kimmel – 10/08/18].

წამყვანი: ,,ჩვენი პირველი სტუმარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მამაკაცია. ის არის მრავალი ჯილდოს მფლობელი ხელოვანი, მოდის დიზაინერი და ფეხსაცმლის გამყიდველი. მის ახალ ალბომს ჰქვია ''YE''. მიესალმეთ კანიე ვესტს'' (გამხიარულება და ტაში).

თოქშოუში სტუმრის წარდგენა არა მხოლოდ მაყურებელს აცნობს სტუმარს, არამედ ირიბად მოქმედებს როგორც თემის შესავალი. სტუმრის, როგორც მისი პროფესიული ცხოვრების მთავარ გმირთან გათანაბრება, ირიბად მიანიშნებს სტუმარზე და პროგნოზირებს,

რომ მის გარშემოა საუბარი. მაშასადამე, აღწერა თავად შეიცავს მინიშნებებს ფაქტობრივ თემაზე; მით უმეტეს, როცა აღწერა მოიცავს პიროვნების პროფესიულ ცხოვრებაში სიახლეების ღირებულ მოვლენას, რამაც გამოიწვია ინტერვიუ.

რაც შეეხება თოქშოუს ინტერვიუს გახსნას, მისი მხოლოდ პირველი ნაწილი იმართება ცალმხრივად წამყვანის მიერ. თოქშოუს ინტერვიუს განსაკუთრებული წარმოდგენის ხასიათიდან გამომდინარე, საერთო გახსნის თანმიმდევრობა აერთიანებს ჩათში მასპინძელსა და სტუმარს შორის თანამშრომლობას. შესაბამისად, წარმოდგენილია ჩვეულებრივი საუბრებისთვის დამახასიათებელი საუბრის ხელმისაწვდომობის სასიგნალო ინტერპერსონალური ქმედებები: ერთმანეთისკენ მოძრაობა, მისალმებებისა და ხელის ჩამორთმევის გაცვლა და ადგილის შეთავაზება-მიღება.

ამერიკულ და ქართულ გასართობ თოქშოუებში სტუმრის წარდგენის შემდეგ, ხდება მასთან ჩათის ფორმატში კომუნიკაცია, ინტერაქცია. თოქშოუში მისალმება თითქმის ყოველთვის მოიცავს მიმართვის ფორმებსაც.

მიმართვა სამეტყველო ეტიკეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია. ისინი კომუნიკაციის პროცესში დიდ დატვირთვას ატარებენ, რადგანაც სწორად შერჩეული მიმართვის ფორმები ახდენენ პატივისცემის დემონსტრირებას მოსაუბრისადმი, თუმცა მოსაუბრის მიერ მიმართვის ფორმების სწორი გამოყენება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, ეს შეიძლება იყოს ასაკი, სოციალური სტატუსი ან კომუნიკანტების ურთიერთობა [ბერიძე 2020:88].

როგორც ამერიკულ, ასევე ქართულ გასართობ თოქშოუებში წამყვანები და სტუმრები, უმეტესად, ერთმანეთის კარგი ნაცნობები და ხშირად მეგობრებიც არიან. მიმართვის ფორმებიც ამ სტილის თოქშოუებში, რა თქმა უნდა, არაფორმალური და მეგობრული მოდელის შესაბამისია. მაგალითად: **Host:** ‘’Our First guest has been a part of our show since, literally, day one. I’m so happy she’s here to help kick off our farewell season. **Please welcome, my friend, Jennifer Aniston”** [Applause] [Hug].

Guest waves hands, cries: ‘’What the hell? This is not supposed to be emotional. God dang it’’ [Ellen Degeneres – 15/09/21]

წამყვანი: ,,ჩვენი პირველი სტუმარი ჩვენი შოუს ნაწილია,ფაქტორბრივად, პირველი დღიდან. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ის აქ არის, რათა დამეხმაროს ჩვენი

გამოსამშვიდობებელი სეზონის დაწყებაში. გთხოვთ მიესალმოთ, ჩემი მეგობარი ჯენიფერ ენისტონი'' [ტაში] [ჩახუტება].

სტუმარი ხელებს აქნევს, ტირის: „რა ჯანდაბაა? ეს არ უნდა იყოს ემოციური. ღმერთო გავგიჟდები''.

Host: ''You look great, as always. You're always rocking it''

Guest: ''I'm trying to be like you, bro.''

Host: **''No. Come on, buddy. Hey. Happy birthday. Happy belated birthday''**

Guest: ''Thank you, bro.''

Host: ''Come on, buddy. If I know Maluma, I know you probably just spent a nice quiet birthday at home, right, just chill'' [Jimmy Fallon – 03/02/22].

წამყვანი: ,,მშვენივრად გამოიყურები, როგორც ყოველთვის. მუდამ შოკს იწვევ''

სტუმარი: ,,ვცდილობ, შენნაირი ვიყო, ძმაო"

წამყვანი: ,,არა. მოდი მეგობარო. გილოცავ დაბადების დღეს. მოგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს''

სტუმარი: ,,მადლობა, ძმაო."

წამყვანი: ,,მოდი მეგობარო. თუ სწორად ვიცი მალუმა ახლახან გაატარე ლამაზი, მშვიდი დაბადების დღე სახლში. არა, უბრალოდ განიტვირთე''.

ამერიკულ და ქართულ თოქშოუებში სამადლობელი ფორმები წამყვანისა და სტუმრის მხრიდან ყოველთვის არის მადლობის გადახდა სტუმრობისთვის და მოწვევისთვის. ეს შეიძლება იყოს გადაცემის დასაწყისში და ასევე დამშვიდობებისას ან ორივეჯერ. ''Thank you for being here'' – ''Thank you for having me in your show'', - ,,მადლობა, რომ აქ ხართ'' - ,,მადლობა, რომ მომიწვიეთ თქვენს შოუში''.

მაგალითად: Host: ''First of all – **Thanks for being here** and thank you for the shoes. Nobody ever brings me shoes, you brought me shoes, thak's very nice of you, very kind'' [Jimmy Kimmel – 10/08/18].

წამყვანი: ,,პირველ რიგში - მადლობა აქ ყოფნისთვის და მადლობა ფეხსაცმლისთვის. ფეხსაცმელი არავის მოუტანია ჩემთვის, შენ მომიტანე ფეხსაცმელი, ძალიან კარგია, ძალიან კეთილი ხარ''.

Host: ''Welcome back and thank you for being here. Nice to see you. And…

Guest: ''Nice to see you'' [Jimmy Fallon – 17/05/22].

წამყვანი: ,,კეთილი იყოს შენი მობრძანება და მადლობა რომ აქ ხარ. მიხარია შენი ნახვა.

სტუმარი: ,,მიხარია შენი ნახვა''

Guest: ‘’Wow. I'm so happy to be. Thanks for having me on the show’’

Host: ‘’Oh, we love having you’’

Guest: ‘’No, no. I'm so excited’’ [Jimmy Fallon – 12/04/18].

სტუმარი: ,,ვაუ. ძალიან მიხარია აქ რომ ვარ. მადლობა, რომ მომიწვიეთ შოუში"

წამყვანი: ,,ოჰ, ჩვენ გვიყვარს შენი აქ ყოფნა"

სტუმარი: ,,არა, არა. მე აღფრთოვანებული ვარ''.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ასევე ცხადყო, რომ სამადლობელ ფორმებთან ერთად ხშირად სტუმარი და მასპინძელი ასევე გამოხატავს დიდ სითბოსა და სიყვარულს ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა თბილი სიტყვებით.

Guest: ‘’Hey. It is so great to see you’’

Host: ‘’Hey. I am so happy to see you’’

Guest: ‘’Wow’’

Host: ‘’I miss you. I love you’’

Guest: ‘’I love you and I love everything you've done everything you've given us

Host: ‘’Thank you’’

Guest: ‘’I want to pour so much love and flowers’’ [Ellen Degeneres – 11/11/21].

სტუმარი: ,,ძალიან კარგია შენი ნახვა''

წამყვანი: ,,ძალიან მიხარია შენი ნახვა''

სტუმარი: ,,ვაუ''

წამყვანი: ,,მომენატრე. მიყვარხარ''

სტუმარი: ,,მე შენ მიყვარხარ და მიყვარს ყველაფერი, რაც შენ გააკეთე ყველაფერი, რაც მოგვეცი...

მასპინძელი: ,,მადლობა''

სტუმარი: ,,იმდენი სიყვარული და ყვავილები მინდა დაგაყარო’’.

შესაბამის ქართულ გასართობ თოქშოუებშიც უხვადაა წამყვანსა და სტუმარს შორის სამადლობელი ფორმები. მაგალითად:

წამყვანი: ,,მოგესალმებით’’

სტუმარი: ,,მოგესალმებით. მოგესალმებით ყველას’’

წამყვანი: ''როგორა ხართ? მადლობა რომ მეწვიეთ''

სტუმარი: ,,პირიქით მადლობა მოპატიჟებისთვის. ძაან მიყვარს თქვენი გადაცემა''

წამყვანი: ,,გაიხარეთ. ჩვენც გვიყვარს თქვენი სიმღერები, თქვენი ნამღერი სიმღერები და ეხლა ,,მიმღერეს'' წყალობით ხომ საერთოდ მთელი ოჯახი გაგიცანით და გავიგეთ რომ ყველა მღერის არაჩვეულებრივად'' [გიორგი გაბუნიას შოუ - 03/05/22].

წამყვანი: ,,რა კარგია, რომ მოხვედი ურუსკესში სტუმრად''

სტუმარი: ,,მადლობა დაპატიჟებისთვის'' [ურუსკესი show – 01/05/22].

წამყვანი: ,,მადლობა იმისთვის რომ მოხვედი. განსაკუთრებულად შევიმოსე შენთვის''

სტუმარი: ,,ძალიან ლამაზი ხარ'' [მხოლოდ ლელასთან - 21/05/21].

როგორც ამერიკულ ასევე ქართულ გასართობ შოუებში, ჟანრის თავისებურებიდან გამომდინარე, წამყვანი და სტუმარი ერთმანეთს მიმართავს არაოფიციალური რეგისტრით, თუმცა ორივე როგორც ამერიკულ ისე ქართულ თოქშოუებშიც მეტნაკლებად იგრძნობა ჟანრის ინსტიტუციური ხასიათი. ამერიკული თოქშოუს წამყვანები ისევე როგორც მისი სტუმრები, უფრო მეტად გახსნილები და ფამილარულები ჩანან, ვიდრე მსგავსი ქართული თოქშოუებისა, რაც კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ როგორც ამერიკულ, ისე ქართულ გასართობ თოქშოუებში, როგორც წამყვანები ასევე სტუმრები არ იშურებენ ერთმანეთის და ასევე მაყურებლის მიმართაც საქებარ სიტყვებს. ასევე შეინიშნება გარეგნობასა და პროფესიულ მიღწევებთან დაკავშირებული კომპლიმენტები.

მიუხედავად კულტურათაშორისი განსხვავებულობისა, ამერიკულ და ქართულ გასართობ თოქშოუებში ხშირია მისალმების, მიმართვისა და სამადლობელი ფორმების თანხვედრა. ეს ყოველივე გამომდინარარეობს იქედან, რომ ისინი სტანდარტული, ფიქსირებული ფრაზებია. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ გლობალურმა საკომუნიკაციო სივრცემ განაპირობა.

ლიტერატურა:

ბერიძე ლ., 2020. *სამეტყველო ეტიკეტის თავისებურებები სატელევიზიო დისკურსში (ინგლისური და ქართული ენების მასალებზე დაყრდნობით) დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.* ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი.

ზექალაშვილი რ., 2012. *ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები).* გამომცემლობა „უნივერსალი" თბილისი.

Schegloff E. A., 1979. *The Relevance of Repair to Syntax-for-Conversation.* In T. Givon (Ed.), Syntax and Semantics 12: Discourse and Syntax (pp. 261-286). New York: Academic Press.

https://www.youtube.com/watch?v=PmZjaYdS3fA&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=28 (Jimmy Kimmel – 10/08/18)

https://www.youtube.com/watch?v=3T22qyiVeJc&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=26 (Ellen Degeneres – 15/09/21)

https://www.youtube.com/watch?v=vcqceN1zUcc&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=27 (Jimmy Fallon – 03/02/22)

https://www.youtube.com/watch?v=PmZjaYdS3fA&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=28 (Jimmy Kimmel – 10/08/18)

https://www.youtube.com/watch?v=Uv8Ss3yn0d0&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=19&t=12s (Jimmy Fallon – 17/05/22)

https://www.youtube.com/watch?v=udpSQIaSVDg&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=3 (Jimmy Fallon – 12/04/18)

https://www.youtube.com/watch?v=fazOd_SCi6c&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=21 (Ellen Degeneres – 11/11/21)

https://www.imedi.ge/ge/video/96525/momgeralisirbiladzeebistumradgamisshoushi#:~:text=%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%20%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%94E1%83%9E%%83%98%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98,03%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%2C%202022,-%2D%2022%3A12 (გიორგი გაბუნიას შოუ - 03/05/22)

https://www.youtube.com/watch?v=rfnfo0py6mo&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=30 (ურუსკესი show – 01/05/22)

https://www.youtube.com/watch?v=daMSd76PjLc&list=PL1BumPDD9CqbGv1wHCeqlz6-AYK-tbqy-&index=31 (მხოლოდ ლელასთან - 21/05/21)

Nana Iobishvili

Akaki Tsereteli State University

General peculiarities of guest introduction

Abstract

The presented work deals with the general peculiarities of guest introduction, address and thank you formulas in American and Georgian entertainment talk shows. The research is based on the comparative-descriptive method. The mentioned topic is quite relevant, to the extent that in today's television space, talk shows, especially entertainment talk shows, have many viewers. Thus, in the modern media discourse, television conversations, in particular, talk shows, occupy a large place. It has a great influence on the creation and formation of public opinion. The recipient is provided with acceptable, exemplary, and probable thought patterns in this or that culture. This form of broadcasting attracts a lot of people to the TV screens in all countries of the world, therefore the TV hosts in Georgia are showing an increasing interest in this genre.

Linguistics of the 20th century came to the need of research of living language. Oral communication, dialogue, interview takes place in a specific situation. Conversation, dialogic speech is "language in action", "in live situations", with its uniqueness and individualism (Zekalashvili 2012:13). Talk shows are an integral feature of the American and European television space. Of course, the Georgian television space is not an exception in this regard, and the Georgian TV viewers are spoiled by different types of talk shows. In entertainment talk shows we find natural conversations, in some talk shows there are games and different activities, the conversation style is more like an interview. The host should ask the invited guest questions and continue the conversation. Entertainment talk shows are mostly aired at night because they are mostly meant for relaxation. So they are easily added to our routine. Here we can listen to many different people. The speaking style of talk show guests is always different. Based on the analysis of the American and Georgian entertainment talk shows, we would like to determine what general peculiarities are observed in terms of guest introduction, address and thank you formulas in the American and Georgian entertainment talk shows.

Key words: entertainment talk show opening; Addressing in entertainment talk show; Thank you formulas in American and Georgian talk shows.